



განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

ავტორიზაციის შემდგომი შეფასებები

როგორ ხორციელდება ავტორიზაციის
შემდგომი/განმავითარებელი შეფასებები სსიპ-განათლების
ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ

თბილისი

2020



შინაარსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება	3
სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.....	3
სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრის) მიზნებია	3
ავტორიზაციის შეფასების მიზანი.....	4
ავტორიზაციის შემდგომი შეფასებები.....	5
ავტორიზაციის შემდგომი შეფასების მიზანი	5
ავტორიზაციის შემდგომი შეფასების სახეები.....	5
ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე....	6
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით	7
საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად საბჭოს მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 60 დღიანი ვადა	11
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სამ წელიწადში წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით	13
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა	15

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას. იგი მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე. ცენტრი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. ასევე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, იგი მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე; აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს და ახორციელებს სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას. საგანმანათლებლო დოკუმენტების სანდოობისა და მიღებული განათლების სწავლის შედეგების სახელმწიფოს მიერ აღიარებულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრი ახორციელებს საგანმანათლებლო დოკუმენტების აღიარებას, ნამდვილობის დადასტურებას; საგანმანათლებლო დოკუმენტების ლეგალიზაციისა და აპოსტილით დამოწმების მიზნით აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. ასევე ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის-დიპლომის ენობრივ სისწორეს. ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო და უცხო ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრის) მიზნები

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამებისთვის შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შემუშავება და შესაბამისი სერვისების გაუმჯობესება;
2. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა საკონსულტაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და სხვა შესაბამისი სერვისების მეშვეობით;
3. საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით კვალიფიკაციების შემუშავება და გაუმჯობესება;
4. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა;
5. ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ავტორიზაციის შეფასების მიზანი

გარე ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია. ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ავტორიზაცია ემსახურება, ერთი მხრივ ინსტიტუციის სწავლების, კვლევისა და საზოგადოებრივი სამსახურის (მესამე მისიის) შეფასებას, მეორე მხრივ, კი იმის მონიტორინგს, რამდენად ეფექტიანად ახორციელებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს დაწესებულება და ორიენტირებულია, თუ არა არსებული მექანიზმები მისიისა და სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე.

საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს.

ავტორიზაციის შემდგომი შეფასებები

ავტორიზაციის შემდგომი შეფასების მიზანი

ცენტრმა ავტორიზაციის შემდგომი შეფასების მიზანად განსაზღვრა ინსტიტუციების მიერ ავტორიზაციის შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულებისა და დაწესებულების ფუნქციონირების გაუმჯობესების მონიტორინგი.

ავტორიზაციის შემდგომი შეფასება ინსტიტუციასა და ცენტრს აძლევს შესაძლებლობას დაინახონ ავტორიზაციის პროცესის შედეგები დაწესებულების განვითარებაზე, რაც გამოიხატება ინსტიტუციის მიერ რეკომენდაციების შესრულებისა და მისი შემდგომი განვითარებით.

ავტორიზაციის შემდგომი შეფასება წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას ინსტიტუციისათვის აჩვენოს თუ რა პროგრესს მიაღწია დაწესებულებამ ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ. ავტორიზაციის შემდგომი შეფასება ასევე საშუალებას აძლევს ინსტიტუციას თვალსაჩინო გახადოს საზოგადოებისათვის (მათ შორის უნივერსიტეტის შიდა საზოგადოებისათვის) ინსტიტუციის მიერ მიღწეული პროგრესი, რაც ხელს შეუწყობს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ამაღლებას.

ავტორიზაციის შემდგომი შეფასება ასევე საშუალებას აძლევს ინსტიტუციის მენეჯმენტს უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა უნივერსიტეტის მუდმივი განვითარების პროცესში.

ავტორიზაციის შემდგომი შეფასების სახეები

ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო, რომელსაც სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი. ავტორიზაციის საბჭომ ან/და ცენტრმა შესაძლებელია განსაზღვრონ ავტორიზაციის შემდგომი შეფასებები:

1. ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე;
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით.
3. თვითშეფასების ანგარიში, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა წარუდგინოს ცენტრს არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით;
4. ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგი იმ დაწესებულებაში, რომელსაც საბჭოს გადაწყვეტილებით განესაზღვრა სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.

ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

- **ერთზე მეტ სტანდარტთან** მიმართებით შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- **ან ერთ-ერთ სტანდარტთან** მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (გარდა ავტორიზაციის მე-3 ან/და მე-4 სტანდარტებისა), აღნიშნული კი გამოწვეული იყო სტანდარტის ერთზე მეტი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- და **არც ერთ სტანდარტთან** მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში. ანგარიშის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს; ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაბამის [ფორმაში შევსებულ ანგარიშს](#) (საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დანართებს) ცენტრში წარადგენს საბჭოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ცენტრი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისობას. თუ დაწესებულება ცენტრს არ წარუდგენს შესაბამის ანგარიშს ან მასზე დასართავ დოკუმენტაციას, ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად.


წარმოდგენილ ანგარიშს შეისწავლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები — სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალი, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნას, რომლის ფორმალურ შესაბამისობას ადგენს ცენტრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნა წარედგინება საბჭოს და, ასევე, გასაცნობად შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიში და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა განიხილება საბჭოს სხდომაზე. გადაწყვეტილება მიიღება დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენიდან 90 კალენდარული დღის ვადაში.

საბჭო უფლებამოსილია:

- მიიღოს ანგარიში ცნობად
- ან მიმართოს ცენტრს ავტორიზაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

საბჭოს სხდომაზე განხილვაში მონაწილეობას იღებს ინსტიტუციის წარმომადგენელი/წარმომადგენლები და საბჭოს ზეპირი მოსმენის საფუძველზე შესაძლებლობა აქვს, კიდევ ერთხელ დარწმუნდეს ინსტიტუციის მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში და ინსტიტუციის მიერ განხორციელებულ პროგრესში.



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება მონიტორინგის გზით

იმ შემთხვევაში, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას:

- **ერთზე მეტ სტანდარტთან** მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ (გარდა ავტორიზაციის მე-3 ან/და მე-4 სტანდარტებისა), აღნიშნული კი გამოწვეული იყო სტანდარტის ერთზე მეტი კომპონენტის შეფასებით, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- და **არც-ერთ სტანდარტთან** მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ და მიმართავს ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების შესახებ (2 წლის ვადაში) შუამდგომლობით, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გვერდით და/ან არაგვერდით მონიტორინგის გზით.

გვერდითი მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით და/ან ცენტრის ინიციატივით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გვერდითი მონიტორინგის წლიური გეგმა მტკიცდება ცენტრის

დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც გამოცემიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას

არაგვემიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებული წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით. მოცემული საჩივარი შესაძლოა ცენტრში წარმოდგენილი იქნეს იმ დაინტერესებული პირის (სტუდენტი, აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო ან/და ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა) მიერ, რომელიც მიიჩნევს, რომ ირღვევა ამ დებულებით განსაზღვრული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები. საჩივრის ფორმა, საჩივრის შედგენისა და განხილვის მეთოდოლოგია მტკიცდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

გვემიური ან/და არაგვემიური მონიტორინგის განხორციელებისას, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია/ინფორმაცია. თუ დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დამატებითი საჭიროება, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და დაწესებულებაში გვემიური ან/და არაგვემიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტით ან/და დოკუმენტაციის შესწავლით; ხოლო თუ ასეთი საჭიროება არ გამოიკვეთა, ცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, საბჭო წყვეტს მონიტორინგის თაობაზე დაწესებულ ადმინისტრაციულ წარმოებას.


გვემიური და/ან არაგვემიური მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში იქმნება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები — სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი. იმ შემთხვევაში თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს რეგულირებად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას — ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე.

გვემიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ვიზიტისა ან/და დოკუმენტაციის შესწავლის შემთხვევაში დაწესებულებას ეცნობება ვიზიტის დაწყებამდე არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე; არაგვემიური მონიტორინგის შემთხვევაში კი - ეცნობება უშუალოდ ვიზიტის დაწყებისას ან მის დაწყებამდე 5 კალენდარული დღით ადრე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნის შემთხვევაში დგება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი, წარედგინება ცენტრს და ეგზავნება დაწესებულებას, რომელიც დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას, რაც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს და ავტორიზაციის საბჭოს. პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული საბოლოო დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

- გადაწყვეტილება მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე;
- გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით დაწესებულია შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან დაწესებულია არღვევს საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ნორმებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის სტატუსის წარმოშობასთან, შეჩერებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით;
- გადაწყვეტილება დაწესებულებებისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ, თუ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და სხვა არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“; თუ ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით დაწესებულია კვლავ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“
- დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა.




საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად საბჭოს მიერ განსაზღვრული არაუმეტეს 60 დღიანი ვადა

მონიტორინგის გზით ავტორიზაციის პირობების შემოწმებისას, ავტორიზაციის საბჭომ შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის ხარვეზის გამოსასწორებლად არაუმეტეს 60 დღის ვადის განსაზღვრის შესახებ. გადაწყვეტილება აისახება ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმში. აღნიშნული ოქმის დაწესებულებისათვის გაცნობიდან 60 დღის შემდგომ დაწესებულება ვალდებულია ცენტრში წარმოადგინოს ანგარიში მონიტორინგის დასკვნასა და ავტორიზაციის საბჭოს ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დანართებთან ერთად.

ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ ცენტრი კვლავ უზრუნველყოფს დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს. ჯგუფში ექსპერტთა რაოდენობა შესაძლებელია გაიზარდოს საჭიროებიდან გამომდინარე. ექსპერტების შერჩევა მოხდება ინსტიტუციის პროფილიდან და შესამოწმებელი სტანდარტებიდან გამომდინარე. ამასთან, სასურველია ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში ერთი ექსპერტი მაინც მონაწილეობდეს წინა მონიტორინგის ვიზიტიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო დასკვნა განიხილება ავტორიზაციის საბჭოზე. თუ პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დგინდება, რომ:

- ა) დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგის შეწყვეტის თაობაზე;
- ბ) დაწესებულებამ პირობები არ შეასრულა, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზაციის გაუქმების შესახებ;
- გ) შესაბამისი ხარვეზების 50%-ზე მეტი ნაწილის გამოსწორების შემთხვევაში და იმ პირობით, რომ არცერთი სტანდარტი არ ფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო უფლებამოსილია დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა დარჩენილი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარმოსადგენად ან მიმართოს ცენტრს შუამდგომლობით მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სამ წელიწადში წარმოსადგენი თვითშეფასების ანგარიში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ავტორიზაციის მიღებიდან არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ცენტრს წარუდგენს [უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების](#) ანგარიშს. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ. თვითშეფასების ანგარიშში ინსტიტუცია ასახავს შემდეგ ინფორმაციას:

- ავტორიზაციის პროცესის, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების, ავტორიზაციის პირობების შემოწმების (მონიტორინგი) შედეგად მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესახებ;
- ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

აღნიშნული თვითშეფასების ანგარიშის მიზანია, დაწესებულებებმა აჩვენონ ავტორიზაციის მიღების შემდეგ სამწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესი და განსაზღვრონ დაწესებულებაში არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები. აღნიშნული მიდგომით ცენტრსა და ზოგადად, სისტემას ეძლევა საშუალება გააანალიზოს სისტემური ხასიათის პრობლემები/გამოწვევები, რაც, ხელს შეუწყობს შესაბამისი მხარდაჭერი აქტივობების დაგეგმვას.

თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის მიზნით იქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ექსპერტთა კორპუსის წევრები - სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციული/აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის წევრები, ასევე შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სტუდენტი, დამსაქმებელი. იმ შემთხვევაში თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს რეგულირებად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას — ასევე შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს ან/და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები და სხვა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. ჯგუფს ხელმძღვანელობს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, ცენტრი უფლებამოსილია დაწესებულებისგან გამოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია.


ექსპერტთა ჯგუფი ადგენს დასკვნის პროექტს, რომელიც წარედგინება ცენტრს და ეგზავნება დაწესებულებას, რომელიც დასკვნის პროექტის გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში ცენტრში წერილობით წარადგენს არგუმენტირებულ პოზიციას, რაც ეგზავნება ექსპერტთა ჯგუფს. პოზიციის გაცნობის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩამოყალიბებული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე, რაც, ეგზავნება დაწესებულებას.

თვითშეფასების ანგარიშის შეფასების შედეგები ცენტრის მიერ გამოიყენება უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლების, საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში სისტემატური თვითშეფასების დამკვიდრებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ: თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენა არ არის სავალდებულო იმ დაწესებულებებისთვის, რომელთაც ავტორიზაცია მიენიჭათ:

- ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე;
- ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის გზით შემოწმების საფუძველზე;

- სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის საფუძველზე;
- 2017 წლის 5 მაისის №77/ნ ბრძანებით გათვალისწინებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების“ ძალაში შესვლამდე;
- ასევე, თუ განსაზღვრულ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის პერიოდში, მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება საავტორიზაციო განაცხადთან დაკავშირებით.



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულებისათვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ როდესაც:

- დაწესებულება ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნული კი გამოწვეული იყო სტანდარტის არაუმეტეს ერთი კომპონენტის შეფასებით, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“ (გარდა მე-3 და მე-4 სტანდარტისა) და არც ერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“;
- დაწესებულება მე-3 და მე-4 სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნული კი გამოწვეული იყო სტანდარტის ერთზე მეტი კომპონენტის შეფასებით „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და არც ერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“;
- საბჭოს მიერ განსაზღვრული მონიტორინგის შედეგად, თუ დაწესებულება ერთ-ერთ სტანდარტთან მიმართებით კვლავ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა ხდება არანაკლებ 1 წლისა და არაუმეტეს 3 წლის ვადით. შეზღუდვის ძალაში შესვლიდან 8 თვის გასვლის შემდგომ, დაწესებულება უფლებამოსილია ცენტრში წარადგინოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საბჭოს სხდომის ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების გამოსწორების შესახებ [ანგარიში](#) რომლის საფუძველზეც ცენტრი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახორციელებს მონიტორინგს. თუ დაწესებულება არ წარმოადგენს ანგარიშს, ცენტრი საკუთარი ინიციატივით ახორციელებს მონიტორინგს.

1. გადაწყვეტილება სტუდენტთა მიღების შეზღუდვის მოხსნაზე;
2. ძალაში დარჩენის სტუდენტთა მიღების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილება სტუდენტთა მიღების ხელახლა შეზღუდვის შესახებ;
4. გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების შესახებ.

